(d) მოქალაქის ან კომპანიის "ინვესტიცია" ნიშნავს ყველა სახის ინვესტიციას, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან აკონტროლებს ეს მოქალაქე ან კომპანია და მოიცავს ინვესტიციას, რომელიც შედგება ან იღებს შემდეგ ფორმას:

(i) კომპანია;

(ii) წილი, აქციები და აქტივებში წილის ქონების სხვა ფორმები, აგრეთვე ობლიგაციები, სასესხო ვალდებულებები და სესხზე საპროცენტო დანაზღვრების სხვა ფორმები კომპანიაში;

(iii) სახელშეკრულებო უფლებები, გამომდინარე "კასალების ქვეშ" გამზადებული ობიექტის ჩაბარების, სამშენებლო ან სამენეჯმენტო, პროდუქციის წარმოების ან შემოსავლის განაწილების ხელშეკრულებებიდან, კონცესიებიდან ან სხვა შსგავსი ხელშეკრულებებიდან;

(iv) მატერიალური ქონება, მათ შორის უძრავი ქონება და არამატერიალური ქონება, რაც მოიცავს უფლებებს, როგორებიცაა იჯარა, გირაო, ყადაღა და თავდებად დადგომა;

(v) ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის:

საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებები,

პატენტები,

უფლებები მცენარეთა ნაირსახეობაზე,

სამრეწველო დიზაინი,

უფლებები ნახევარგამტართა სქემებზე,

სავაჭრო საიდუმლოება, მათ შორის ნოუ-ჰაუ და კონფიდენციალური საქმიანი ინფორმაცია,

სავაჭრო და სამომსახურეო სფეროს ნიშნები,

სავაჭრო სახელი; და

(vi) კანონის შესაბამისად გაცემული უფლებები, როგორებიცაა ლიცენზიები და ნებართვები;

(e) "დაცული ინვესტიცია" ნიშნავს მხარის მოქალაქის ან კომპანიის ინვესტიციას მეორე მხარის ტერიტორიაზე;

(f) "სახელმწიფო საწარმო" ნიშნავს კომპანიას, რომელსაც მხარე ფლობს ან აკონტროლებს საკუთრებაში წილის მეშვეობით;

(g) "ინვესტირების ნებართვა" ნიშნავს ნებართვას, გაცემულს მხარის უცხოურ ინვესტიციებზე პასუხისმგებელი ხელისუფლების მიერ, მეორე მხარის მოქალაქის, კომპანიის ან დაცული ინვესტიციისათვის;

(h) "საინვესტიციო შეთანხმება" ნიშნავს წერილობით შეთანხმებას მხარის სახელმწიფო ხელისუფლებასა და მეორე მხარის დაცულ ინვესტიციას, ან მოქალაქეს ან კომპანიას შორის (i) რომელიც ანიჭებს უფლებებს სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ წარმომადგენლებს ბუნებრივ რესურსებსა ან სხვა აქტივებზე; და (ii) რომელსაც ინვესტიცია, მოქალაქე ან კომპანია ეყრდნობა დაცული ინვესტიციის დაარსებისას ან შექმნისას;

(i) "ICSID კონვენცია" ნიშნავს კონვენციას სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ, ხელმოწერილს ქ. ვაშინგტონში, 1965 წლის 18 მარტს;

(j) "ცენტრი" ნიშნავს ICSID კონვენციით დაფუძნებულ საინვესტიციო დავათა მოგვარების საერთაშორისო ცენტრს; და

(k) "UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები" ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის საარბიტრაჟო წესებს.

მუხლი I I

1. თითოეულმა მხარემ დაცული ინვესტიციების დაბანდების, შექენის, გაფართოების, მართვის, განგების, გამოყენების, გაყიდვის ან სწავგვარად განკარგვისათვის უნდა შექმნას არანაკლებ ხელსაყრელი პირობები, ვიდრე მსგავს სიტუაციებში ის უქმნის საკუთარი მოქალაქეების ან კომპანიების ინვესტიციებს მის ტერიტორიაზე (შემდგომში "ეროვნული რეჟიმი"), ან შესამე ქვეყნის მოქალაქეების ან კომპანიების ინვესტიციებს საკუთარ ტერიტორიაზე (შემდგომში "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი"), იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანია უფრო ხელსაყრელი (შემდგომში "ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი"). თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ თავისი სახელმწიფო საწარმოები, თავიანთი საქონლის ან მომსახურების წარმოებისას, დაცული ინვესტიციების მიმართ გამოიყენებენ ეროვნულ და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

2. (a) მხარეს შეუძლია მიიღოს ან დაადგინოს გამონაკლისები 1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების მიმართ იმ სფეროებში ან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების დანართში. ასეთი სახის გამონაკლისის მიღებისას მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს გამონაკლისის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებული დაცული ინვესტიციების მთლიანი ან ნაწილობრივი ჩამორთმევა.

(b) 1-ელი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები არ გამოიყენებიან იმ პროცედურების მიმართ, რომლებიც გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით დადებული მრავალმხრივი შეთანხმებებით და ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შექენასა და შენარჩუნებას.

3. (a) თითოეული მხარე ვალდებულია მუდმივად უზრუნველყოს დაცული ინვესტიციები სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის რეჟიმით, სრული დაცვითა და უსაფრთხოებით და არაფართარ შემთხვევაში არ შეუქმნას მათ უფრო ნაკლები ხელშეწყობის რეჟიმი, ვიდრე ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი.

b) არცერთი მხარე გაუმართლებელი და დისკრიმინაციული ზომებით არასგზით არ შეაფერხებს დაცული ინვესტიციების მართვას, განმგებლობას, გამოყენებასა და გაყიდვას ან მის სწავგვარ განსვსებას.

4. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაცულ ინვესტიციებთან დაკავშირებით პრეტენზიების წამოყენებისა და უფლებების განხორციელების ეფექტური საშუალებები;

5. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ თავისი კანონები, კანონქვემდებარე აქტები, საერთო ხასიათის ადმინისტრაციული ნორმები და პროცედურები და სასამართლო გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხებიან ან გავლენას ახდენენ დაცულ ინვესტიციებზე, დაუყონებლივ გამოქვეყნდეს ან საზოგადოებისათვის სწავგვარად განდეს ხელმისაწვდომი.

მუხლი III

1. არც ერთმა მხარემ არ უნდა მოახდინოს დაცული ინვესტიციის ბირდაპირ ან არაბირდაპირი ექსპროპრიაცია ან ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაციის ან ნაციონალიზაციის ტოლფასოვანი ზომების გამოყენებით ("ექსპროპრიაცია"), თუ ეს არ ეხება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად; ტარდება არადისკრიმინაციულ საფუძველზე; სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური კომპენსაციის სანაცვლოდ კანონმდებლობის თანახმად და II (3) მუხლში მიღწეული ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

2. კომპენსაცია გადაუდებლად უნდა იქნას გადახდილი; იგი უნდა იყოს უშუალოდ ექსპროპრიაციის განხორციელებამდე ("ექსპროპრიაციის თარიღი") ექსპროპრიირებული ინვესტიციის რეალური საბაზრო ღირებულების ტოლფასი, უნდა შეიძლებოდეს მისი სრული რეალიზება და თავისუფალი გადაგზავნა. რეალურმა საბაზრო ღირებულებამ არ უნდა ასახოს ის ცვლილებები ღირებულებაში, რომლებიც წარმოიშვა იმის გამო, რომ ექსპროპრიაციის აქტი ცნობილი გახდა ექსპროპრიაციის თარიღამდე.

3. თუ რეალური საბაზრო ღირებულება გამოიხატება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, გადახდილი კომპენსაცია უნდა იყოს არანაკლები, ვიდრე ექსპროპრიაციის თარიღისათვის არსებულ რეალურ საბაზრო ღირებულებას მიმატებული ექსპროპრიაციის თარიღიდან გადახდის თარიღამდე ამ ვალუტაზე დარიცხული პროცენტული განაკვეთი კომერციულად მისაღები კურსის ფარგლებში.

4. თუ რეალური საბაზრო ღირებულება განისაზღვრება არაკონვერტირებად ვალუტაში, გადახდილი კომპენსაცია, გადაყვანილი გადასახდელ ვალუტაზე გადახდის დღისათვის არსებული საბაზრო გაცვლითი კურსით, არ უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე:

(a) ექსპროპრიაციის თარიღისათვის არსებული რეალური საბაზრო ღირებულება, რომელიც გადაყვანილია თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში გადახდის დღისათვის არსებული საბაზრო გაცვლითი კურსით, მიმატებული

(b) პროცენტები, რაც ექსპროპრიაციის თარიღიდან გადახდის თარიღამდე დაერიცხა ამ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას კომერციულად მისაღები კურსით.

მუხლი IV

1. თითოეული მხარე განახორციელებს ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს დაცული ინვესტიციების მიმართ, მის ტერიტორიაზე ომის ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, საგანგებო მდგომარეობის, აჯანყების, სამოქალაქო არეულობის ან სხვა მსგავსი მოვლენების გამო ამ ინვესტიციებისადმი მიყენებულ ზარალთან დაკავშირებულ საკითხებში.

2. თითოეული მხარე უნდა ახდენდეს დანაკარგების ანაზღაურებას ან ინდიდეს კომპენსაციას III მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ დაცული ინვესტიცია მის ტერიტორიაზე განიცდის ზარალს,

რაც გამოწვეულია ომით ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტით, რეგულაციით, საგანგებო მდგომარეობით, აჯანყებით, სამოქალაქო არეულობით ან სხვა მსგავსი მოვლენით და რაც შედეგია:

(ა) მხარის შეიარაღებული ძალების ან ხელისუფლების მიერ ამ ინვესტიციათა მთლიანი ან ნაწილობრივი რეკვიზიცისა, ან

(ბ) მხარის შეიარაღებული ძალების ან ხელისუფლების მიერ ამ ინვესტიციების მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურებისა, რაც შესაბამის სიტუაციაში არ იყო აუცილებელი.

მუხლი V

1. თითოეულმა მხარემ უნდა დართოს მის ტერიტორიაზე ან მისი ტერიტორიის გარეთ დაცულ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაგზავნების თავისუფალ და შეუფერხებელ განხორციელებას. ამგვარ გადაგზავნებში შედის:

(ა) კაპიტალში შენატანები;

(ბ) მოგებები, დივიდენდები, კაპიტალის ღირებულების ნამატი და ინვესტიციების მთლიანად ან ნებისმიერი ნაწილის გაყიდვიდან ან მათი ნაწილობრივი ან მთლიანი ლიკვიდაციიდან მიღებული ამონაგებები;

(ც) პროცენტები, ჰონორარები, მმართველობითი გადასახადები, ტექნიკური დახმარება და სხვა გადასახადები;

(დ) გადასახადები, გამომდინარე კონტრაქტიდან, მათ შორის სესხის ხელშეკრულებიდან; და

(ე) მე-III და მე-IV მუხლების შესაბამისად განხორციელებული კომპენსაცია და საინვესტიციო დავების შედეგად წარმოშობილი გადასახადები.

2. თითოეულმა მხარემ უნდა დაუშვას გადაგზავნების განხორციელება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში გადაგზავნების თარიღისათვის არსებული საბაზრო გაცვლითი კურსით.

3. თითოეულმა მხარემ უნდა დაუშვას ამონაგებების მიღებისათვის ისეთი პირობები, როგორც ეს ნებადართულია და განსაზღვრულია ინვესტიციების ნებართვაში, საინვესტიციო შეთანხმებაში, ან მხარისა და მეორე მხარის დაცულ ინვესტიციას, ან მოქალაქეს ან კომპანიას შორის დადებულ სხვა წერილობით შეთანხმებაში.

4. 1-3 პუნქტების მიუხედავად, მხარეს შეუძლია თავიდან აიცილოს გადაგზავნა იმ კანონების თანასწორი, არადისკრიმინაციული და სამართლიანი გამოყენებით, რაც დაკავშირებულია:

(ა) გაკოტრებასთან, გადახდისუუნარობასთან, ან კრედიტორთა უფლებების დაცვასთან;

(ბ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, ვაჭრობასა და ოპერირებასთან;

(ც) სისხლის სამართლის ან კანონმდებლობის დარღვევებთან; ან

(დ) სასამართლო განკარგულებებსა და გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან.

მუხლი VI

არც ერთი მხარე არ დააწესებს ან გაატარებს, როგორც დაცული ინვესტიციის დაბანდების, შექენის, გაფართოების, წარმართვის, განგების ან გამოყენების პირობად, ნებისმიერ მოთხოვნას (სამთავრობო ნებართვის ან უფლებამოსილების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოვალეობის ჩათვლით), რათა:

(a) მიაღწიოს ადგილობრივი ნაწარმის განსაზღვრულ დონეს ან პროცენტულ თანაფარდობას, შეისყიდოს, გამოიყენოს ან მიაწოდოს სხვაგვარი უპირატესობა ადგილობრივი წარმომადგენლობის ან ნებისმიერი ადგილობრივი რესურსიდან წარმოებულ საქონელსა თუ მომსახურებას;

(b) შეზღუდოს იმპორტი პროდუქციის ან მომსახურების ინვესტირებით, რაც დაკავშირებული იქნება პროდუქციის, ექსპორტის ან უცხოური სავალუტო შემოსავლების განსაზღვრულ მოცულობასა ან ღირებულებასთან;

(c) ექსპორტირება გაუკეთოს ცალკეული სახის, დონის ან პროცენტული თანაფარდობის პროდუქციის ან მომსახურებას საზოგადოდ ან ცალკეულ საბაზრო რეგიონებში;

(d) შეზღუდოს ვაჭრობა მხარის ტერიტორიაზე პროდუქციის ან მომსახურების ინვესტირებით, რაც დაკავშირებული იქნება პროდუქციის, ექსპორტის ან უცხოური სავალუტო შემოსავლების განსაზღვრულ მოცულობას ან ღირებულებასთან;

(e) გადასცეს ტექნოლოგია, საწარმოო პროცესი ან სხვა სახის კერძო ცოდნა მხარის ტერიტორიაზე არსებულ კომპანიას ან მოქალაქეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება სასამართლოს, ადმინისტრაციული სასამართლოს ან უფლებამოსილი კონკურენციის დამდგენი წესების ხელისუფლების მიერ განხორციელებული ბრძანების, ვალდებულების ან მოვალეობის შესაბამისად, და რისი მიზანიცაა გამოსწორდეს სასამართლო წესით დადგენილი კონკურენციის კანონის დარღვევა; ან

(f) ჩაატაროს მხარის ტერიტორიაზე გარკვეული სახის, დონის ან რაოდენობის კვლევითი და განვითარების სამუშაოები.

ეს მოთხოვნები არ მოიცავს უპირატესობის მინიჭების ან მინიჭებული უპირატესობის გაგრძელების პირობებს.

მუხლი VII

1. (a) თითოეული მხარე, საკუთარ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების მოქალაქეთა შესვლისა და ყოფნის შესახებ კანონების შესაბამისად, ნებას რთავს მეორე მხარის მოქალაქეებს შევიდნენ და იმყოფებოდნენ მის ტერიტორიაზე იმ ინვესტიციათა დაბანდების, განვითარების, ადმინისტრირების ან საოპერაციო რეკომენდაციების გაცემის მიზნით, რომლებშიც თავად ან მათ დამქირავებელმა სხვა მხარის კომპანიამ შეიტანეს ან შეაქვთ კაპიტალის ან სხვა რესურსების არსებითი ოდენობა;

(b) 1 (ა) პუნქტის თანახმად ქვეყანაში შესვლის ნებართვის გაცემისას, არცერთ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს მუშაკის ატესტაცია ან მსგავსი

შედეგების მქონე სხვა პროცედურა, ან გამოიყენოს ნებისმიერი ხასიათის რიცხობრივი შეზღუდვა.

2. თითოეული მხარე ნებას რთავს დაცულ ინვესტიციებს მმართველი პერსონალის დაქირავებისას იხელმძღვანელოს საკუთარი არჩევანით, მოქალაქეობის განურჩევლად.

მუხლი VIII

მხარეები თანხმდებიან, ნებისმიერი მათგანის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ აწარმოონ კონსულტაცია ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რაიმე სადაო საკითხის გადასაწყვეტად ან განიხილონ ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან, გამოყენებასთან ან მისი მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული რაიმე საკითხი.

მუხლი IX

1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, საინვესტიციო დავა წარმოადგენს დავას მხარესა და მეორე მხარის მოქალაქეს ან კომპანიას შორის, წარმოშობილს ან დაკავშირებულს ინვესტირების ნებართვასთან, საინვესტიციო შეთანხმებასთან ან დაცულ ინვესტიციასთან მიმართებაში წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული, ჩამოყალიბებული ან აღიარებული უფლებების დარღვევის შესახებ ბრალდების წაყენებასთან.

2. მოქალაქეს ან კომპანიას, რომელიც არის საინვესტიციო დავის მონაწილე, შეუძლია დავის განსახილველად იმოქმედოს ერთ-ერთი ქვემოთხსენებული გზით:

(a) მიმართოს იმ მხარის სასამართლოებს ან ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც დავის მონაწილეა; ან

(b) ჩაატაროს ნებისმიერი შესაბამისი, წინასწარ შეთანხმებული დავის მოგვარების პროცედურა; ან

(c) მე-3 პუნქტის პირობების შესაბამისად.

3. (a) თუ შესაბამისმა მოქალაქემ ან კომპანიამ არ გადასცა დავა მოსაგვარებლად მე-2 პუნქტის (a) ან (b) ქვეპუნქტების შესაბამისად და დავის წარმოშობიდან გავიდა სამი თვე, ამ მოქალაქეს ან კომპანიას უფლება აქვს დავის მოგვარების მიზნით სავალდებულო საარბიტრაჟო განხილვისათვის მიმართოს:

(i) ცენტრს, თუ ცენტრი ხელმისაწვდომია; ან

(ii) ცენტრის დამატებით შესაძლებლობებს, თუ ცენტრი ხელმისაწვდომი არ არის; ან

(iii) UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებს; ან

(iv) მოდავე მხარეთა ურთიერთთანხმობის შემთხვევაში - ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო დაწესებულებას ან ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო წესს;

(b) მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეს ან კომპანიას შეუძლია მე-3(a) პუნქტის თანახმად სადაო საკითხი განსახილველად გადასცეს სავალდებულო ძალის მქონე არბიტრაჟს, მას აგრეთვე შეუძლია მოდავე მხარის იურიდიულ ან ადმინისტრაციულ სასამართლოში, სასამართლო პროცესის დაწყებამდე ან მის

განმავლობაში მოითხოვოს დროებითი განჩინების მიღება დახმარების თაობაზე, მისი უფლებების და ინტერესების დაცვისათვის, რაც არ მოიცავს ზარალის ანაზღაურებას.

4. ამით ორივე მხარე თანხმდება, რომ ნებისმიერი საინვესტიციო დავა მოსაგვარებლად გადასცეს შესაბამის არბიტრაჟს მოქალაქის ან კომპანიის არჩევით მე-3 პუნქტის (a) ქვეპუნქტის (i), (ii) და (iii) ნაწილების თანახმად, ან დავის მონაწილე ორივე მხარის თანხმობით მე-3 (a)-ს (iv) ნაწილის თანახმად. ეს თანხმობა და მე-3 (a) ქვეპუნქტის თანახმად მოქალაქის ან კომპანიის მიერ დავის გადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

(a) ICSID კონვენციის II თავის (ცენტრის იურისდიქცია) და დამატებითი შესაძლებლობების წესებს დავის მხარეთა წერილობითი თანხმობისათვის; და

(b) ნიუ-იორკში 1958 წ. 10 ივნისს ხელმოწერილ "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ" გაერო-ს კონვენციის მე-II მუხლს "წერილობითი შეთანხმებებისათვის".

5. მე-3 (a) პუნქტის (ii), (iii) ან (iv) ნაწილის თანახმად ნებისმიერი საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება იმ სახელმწიფოში, რომელიც არის ნიუ-იორკში 1958 წ. 10 ივნისს დადებული "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ" გაერო-ს კონვენციის მონაწილე.

6. ამ მუხლის შესაბამისად გამოტანილი ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო დაფაში მონაწილე მხარეებისათვის. თითოეული მხარე დაუყოვნებლივ აღასრულებს ამ გადაწყვეტილებას და უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მის ძალაში შესვლას.

7. ნებისმიერ სასამართლო პროცესში, რომელიც მოიცავს საინვესტიციო დავას, დაცვის, შემწვედრი სარჩელის, გაბათილების უფლების ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მხარე არ მოითხოვს, რომ დანაკარგის მთლიანი ან მისი ნაწილის ანაზღაურება ან სხვა სახის კომპენსაცია მიღებულა ან მიიღება დაზღვევის ან საგარანტიო კონტრაქტის მიხედვით.

8. ამ მუხლისა და ICSID კონვენციის 25 (2) (b) მუხლის მიზნებისათვის, მხარის კომპანია, რომელიც საინვესტიციო დავის წამოჭრამდე დაცულ ინვესტიციას წარმოადგენდა, იქნება განსაზღვრული, როგორც ამ მეორე მხარის კომპანია.

მუხლი X

1. მხარეთა შორის ნებისმიერი დავა, რომელიც ენება ხელშეკრულების ინტერპრეტაციას ან გამოყენებას, რომელიც ვერ გადაწყდა მოლაპარაკებით ან სხვა დიპლომატიური არხებით, რომელიმე მხარის მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს საარბიტრაჟო სასამართლოს საერთაშორისო სამართლის მოქმედი წესების შესაბამისად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოსატანად. მხარეებს შორის შეთანხმების არარსებობისას, გამოიყენება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები იმ გამოჩაკლისით, თუ ეს წესები (a) შეცვლილია მხარეთა მიერ; ან (b) შეცვლილია საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ, თუ რომელიმე მხარე შემოთავაზებული ცვლილებების შეტანაზე პროტესტს არ გამოთქვამს.

2. მოთხოვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს არბიტრი. ორი არბიტრი თავმჯდომარედ არჩევს მესამე არბიტრს, რომელიც უნდა იყოს მესამე სახელმწიფოს მოქალაქე. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, რომლებიც ეხება სამი წევრისაგან შემდგარი სასამართლოს შემადგენლობის დანიშვნას mutatis mutandis გამოიყენება არბიტრების შემადგენლობის დანიშვნისას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ წესებში მოხსენიებული დამნიშვნელი თანამდებობის პირი უნდა იყოს ცენტრის გენერალური მდივანი.

3. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ყველა პროცედურა უნდა შედგეს და ყოველნაირი მოსმენა უნდა ჩატარდეს მესამე არბიტრის არჩევის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, და არბიტრების შემადგენლობამ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საბოლოო პროცედურის ან საბოლოო მოსმენის დამთავრების დღიდან (იმისდა მიხედვით, თუ რომელია უკანასკნელი) ორი თვის ვადაში.

4. თავმჯდომარისა და სხვა არბიტრების მიერ გაწეული ხარჯები, აგრეთვე, ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები მხარეთა მიერ თანაბრად უნდა იყოს დაფარული. თუმცა, არბიტრაჟს შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილების თანახმად ერთ-ერთ მხარეს დააკისროს ხარჯების უფრო დიდი ნაწილის გადახდა.

მუხლი XI

ეს ხელშეკრულება არ დაარღვევს ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს, რაც დაცულ ინვესტიციას ანიჭებს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული:

(a) მხარის კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს, ადმინისტრაციულ დადგენილ წესებს და პროცედურებს, ან ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტილებებს;

(b) საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს; ან

(c) მხარის მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის ვალდებულებებს, რომელსაც შეიცავს ინვესტირების ნებართვა და საინვესტიციო შეთანხმება.

მუხლი XII

თითოეული მხარე უფლებას იტოვებს, უარი უთხრას მეორე მხარის კომპანიას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უპირატესობის მინიჭებაზე, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეები ფლობენ ან აკონტროლებენ კომპანიას; და

(a) მხარეს, რომელიც უარს ამბობს, არ აქვს ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა მესამე ქვეყანასთან; ან

(b) კომპანია არ ახორციელებს არსებით საქმიან ღონისძიებებს იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის კანონების შესაბამისადაც ის არის რეგისტრირებული ან შექმნილია.

მუხლი XIII

1. ამ ხელშეკრულების დებულებები არ აკისრებს საგადასახადო ვალდებულებებს, გარდა:

(a) III, IX და X მუხლებისა, რომლებიც გამოიყენებიან ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით; და

(b) IX მუხლისა, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო შეთანხმების ან ინვესტირების ნებართვის მიმართ.

2. მოქალაქეს ან კომპანიას, რომელიც საინვესტიციო დავაში ამტკიცებს, რომ საგადასახადო ღონისძიება მოიცავს ექსპროპრიაციას, შეუძლია დავა განსახილველად გადასცეს არბიტრაჟს მე-9 მუხლის (3) პუნქტის შესაბამისად მხოლოდ მაშინ, თუ:

(a) შესაბამისმა მოქალაქემ ან კომპანიამ უკვე მიმართა ორივე მხარის კომპეტენტურ საგადასახადო ინსტანციებს კითხვით, მოიცავდა თუ არა საგადასახადო საკითხი ექსპროპრიაციას; და

(b) ცხრა თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოქალაქემ ან კომპანიამ მიმართა ამგვარი საკითხით, კომპეტენტურმა საგადასახადო ინსტანციებმა ვერ განსაზღვრეს, მოიცავს თუ არა ეს საკითხი ექსპროპრიაციას.

მუხლი XIV

1. წინამდებარე ხელშეკრულება ხელს არ შეუშლის მხარეებს თავისი მოვალეობების შესრულების მიზნით აუცილებელი ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო მშვიდობის ან უსაფრთხოების შენარჩუნებასთან ან აღდგენასთან, ან თავიანთი უშიშროების არსებითი ინტერესების დაცვასთან.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ხელს არ შეუშლის მხარეებს დააწესონ დაცულ ინვესტიციებთან დაკავშირებული სპეციალური ფორმულები, როგორცაა მოთხოვნა, რომ ამგვარი ინვესტიციები რეგისტრირებული იქნას ამ მხარის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ან მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სავალუტო და სხვა ფულადი ინსტრუმენტების გადაგზავნები განცხადებული იქნას, თუკი ასეთი ფორმულები არ ხელყოფენ ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების არსს.

მუხლი XV

1. (a) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები ვრცელდება მხარეთა პოლიტიკურ ქვედანაყოფებზე.

(b) ამერიკის შეერთებული შტატების შტატის, ტერიტორიის ან სამფლობელოს მიერ მიღებულ რეჟიმთან მიმართებაში ეროვნული რეჟიმი ნიშნავს არანაკლებ ხელშემწყობ რეჟიმს, ვიდრე მსგავს სიტუაციებში ენიჭებათ იმ ინვესტიციებს, რომლებიც ეკუთვნით ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს მცხოვრებთ ამერიკის შეერთებული შტატების სხვა შტატებში, ტერიტორიებსა და სამფლობელოებში და კომპანიებს შექმნილთ ამერიკის

შეერთებული შტატების სხვა შტატების, ტერიტორიებისა და სამფლობელოების კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარის მოვალეობები ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების მიერ იმ ნებისმიერი მმართველობითი, ადმინისტრაციული ან სხვა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას, რომელიც დელეგირებულია მასზე ამ მხარის მიერ.

მუხლი XVI

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის თარიღიდან ოცდაათი დღის შემდეგ. ის რჩება ძალაში ათი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მოქმედების ვადა გრძელდება, თუ მე-2 პუნქტის თანახმად არ იქნება შეწყვეტილი. ის გამოიყენება მისი ძალაში შესვლის დროისათვის არსებული დაცული ინვესტიციების მიმართ, ისევე, როგორც იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა ან შექმნილ იქნა ხელშეკრულების დადების შემდეგ.

2. მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თავდაპირველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ან მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ნებისმიერ დროს, მეორე მხარისადმი ერთი წლით ადრე წერილობითი შეტყობინების წარდგენით.

3. ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი წლის განმავლობაში, მისი ყველა სხვა მუხლი გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტამდე განხორციელებული ან შექმნილი დაცული ინვესტიციების მიმართ გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც ვრცელდება დაცულ ინვესტიციათა განხორციელებაზე და შექმნაზე.

4. დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შესრულებულია ქ. ვაშინგტონში, 1994 წლის 7 მარტს, ორ პირად ინგლისურ ენაზე. მომზადდება ქართული პირი, რომელიც ჩაითვლება თანაბარი ძალის მქონედ მას შემდეგ, რაც გაიცვლება მისი ინგლისურ ტექსტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დიპლომატიური ნოტები.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

ამერიკის შეერთებული შტატების
მთავრობის სახელით

დანართი

1. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უფლება აქვს შეიტანოს ან შეინარჩუნოს გამონაკლისები დაცული ინვესტიციების ეროვნული რეჟიმით უზრუნველყოფიდან გამომდინარე ვალდებულებებში, ქვემოთ ჩამოთვლილი დარგების ან ღონისძიებების მიმართ:

ატომური ენერჯია; საბაჟო ბროკერები; რადიომაუწყებლობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან კოსმოსური რადიოსადგურების ლიცენზიები; საკომუნიკაციო თანამგზავრები; სუბსიდიები ან გრანტები, მათ შორის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სესხები, გარანტიები და დაზღვევა; სახელმწიფო და ადგილობრივი ღონისძიებები, რომლებიც არ შედიან ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების 1102-ე მუხლში, ამ შეთანხმების 1108-ე მუხლის შესაბამისად; და წყალქვეშა კაბელების გაყვანა.

ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში და საკითხებში გამოყენებულ იქნება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

2. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უფლება აქვს შეიტანოს ან შეინარჩუნოს გამონაკლისები დაცულ ინვესტიციათა ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით უზრუნველყოფიდან გამომდინარე ვალდებულებებში ქვემოთ ჩამოთვლილი დარგების და ღონისძიებების მიმართ:

თევზჭერა; საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა; საბანკო საქმე, დაზღვევა, ფასიანი ქაღალდები და სხვა საფინანსო მომსახურება.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს შეიტანოს ან შეინარჩუნოს გამონაკლისები დაცული ინვესტიციების ეროვნული რეჟიმით უზრუნველყოფიდან გამომდინარე ვალდებულებებში ქვემოთ ჩამოთვლილი დარგების და ღონისძიებების მიმართ:

თევზჭერა; საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა; რადიომაუწყებლობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან კოსმოსური რადიოსადგურების მფლობელობა; საკომუნიკაციო თანამგზავრები; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სესხები, გარანტიები და დაზღვევა; წყალქვეშა კაბელების გაყვანა და ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი წლის მანძილზე საბანკო საქმე, დაზღვევა, ფასიანი ქაღალდები და სხვა საფინანსო მომსახურება.

ზემოთ აღნიშნული დარგების და ღონისძიებების მიმართ გამოიყენება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

4. თითოეული მხარე თანახმაა მიანიჭოს ეროვნული რეჟიმი დაცულ ინვესტიციებს შემდეგ დარგებში:

მინერალების ან ნავთობსადენების გაქირავება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწებზე.